ჩვენ პრობლემებს ჩვენვე თუ მივხედავთ

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 3 მაისი. 28100 მაყურებელი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 1:0.

“არარატი”: კოდშივალოვი, სააკიანი, ასატრიანი, ჩილინგარიანი, კირაკოსიანი, აშ. ხაჩატრიანი, მარქარიანი, ოვანესიანი, სტეპანიანი, მელიქიანი, მხითრიანი.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, ჟორჟიკაშვილი.

23 წთ. ოვანესიანი.

59–ე წთ. ჟორდანიას ნაცვლად – ჩქარეული, 75 წთ. მელიქიანის ნაცვლად – ბოსტანჯანი, 90 წთ. მხითარიანის ნაცვლად – კარაპეტიანი.

მსაჯი: ანატოლი კადეტოვი (მოსკოვი).

კარში დარტყმა: 19:13 (8:8), ზუსტი დარტყმა 6:3 (2:2), საჯარიმო მოედნიდან 10:1 (4:1).

კუთხური: 10:1 (2:1).

დაჯარიმდნენ: ერევნელები – 15 (5), თბილისელები – 15 (6).

მატჩის 23–ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო ერევნელთა კაპიტანმა ოვანესიანმა და საკმაოდ ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა – 1:0. ეს გოლი ერთადერთი გამოდგა ამ შეხვედრაში.

მძიმე სატურნირო მდგომარეობაში მყოფი “არარატი” რომ ყველაფერს იღონებდა გამარჯვებისთვის, ეს არავისთვის უნდა ყოფილიყო საიდუმლო. თამაში ასეც დაიწყო – მასპინძლები მატჩის პირველი წუთებიდანვე შეტევაზე გადავიდნენ. კაცი შეიძლება მხოლოდ გაოცდე: წლევანდელ სეზონში ერთობ უხეიროდ მოთამაშე “არარატი” სადღაც პოულობს ენერგიის უხილავ მარაგს და საკმაოდ თავდაჯერებული თამაშობს მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში. სიტყვა “თამაშობს” ალბათ მაინც არ ესადაგება მასპინძელთა თავგამოდებასა, და, შეიძლება ითქვას, მინდვრის თითოეული გოჯისთვის ბრძოლას, სწორედ რომ ბრძოლას, რადგან თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრაში ეს ფაქტორი, როგორც ჩანს, გადამწყვეტია. ალბათ არა აქვს აზრი ჩავეძიოთ მიზეზებს. მთავარია, რომ ასეთი სპორტსმენისა თუ გუნდის მიმართ არ შეიძლება პატივისცემა არ იგრძნო. მონდომება, სიმართლე რომ ითქვას, არც, თბილისელებს აკლდათ, მაგრამ განსხვავება მაინც თვალშისაცემი იყო.

გოლის შემდეგ თამაში ერთგვარად გათანაბრდა და ტაიმის მიწურულს ”დინამოს” უპირატესობაც იგრძნობოდა – ორჯერ შორიდან ძლიერად დაარტყა ჩივაძემ, გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა ცაავას – კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით დაარტყა “არარატის” კარისკენ. სხვათა შორის, ეს ერთადერთი კუთხური იყო მთელ მატჩში.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. 50–ე წუთზე სტეპანიანმა ახლოდან დაარტყა თავით, ორი წუთის შემდეგ კი ოვანესიანი აღმოჩნდა თბილისელთა კარის უშუალო სიახლოვეს.

მატჩის 65–ე წუთი. შეხვედრის არბიტრი ანატოლი კადეტოვი თერთმეტმეტრიანს ნიშნავს “დინამოს” კარში. ოვანესიანის მიერ დარტყმული ბურთი ძელს ხვდება. მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები. ზედიზედ სამჯერ აკრძალული ხერხით

აჩერებენ გუცაევს, ორჯერ კარგად ითამაშა ჩქარეულმა და, საერთოდ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინიციატივა მთლიანად "დინამოს" მხარეს იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ვიზუალურ ინიციატივას არც საგოლე მომენტები და, ბუნებრივია, არც გოლი არ მოჰყოლია, ერევნელთა კონტრშეტევები კი საკმაოდ სახიფათო იყო. 77–ე და მე–80 წუთებზე აბუსერიძემ მხითარიანისა და კირაკოსიანის ძლიერი დარტყმების შემდეგ ძალზე კარგად ითამაშა.

წლევანდელ საფეხბურთო სეზონში (და არა მარტო წლევანდელში) გულშემატკივართა და სპეციალისტთა სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს დინამოელთა შეტევის ხაზი, უფრო სწორად, გუნდის საიერიშო შესაძლებლობანი. ეს ნაკლი ყველაზე აშკარად ალბათ "არარატთან" მატჩში გამოიკვეთა. რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია გოლების სიუხვეზე ოცნება, როცა მთელი 90 წუთის მანძილზე მეტოქის საჯარიმოს ფარგლებიდან მხოლოდ ერთხელ ახერხებ დარტყმას, ანდა, როგორ შეიძლება იერიშზე ლაპარაკი, როცა მეტოქისთვის ბურთის წართმევისა თუ მოპოვების შემდეგ "დინამოს" თითქმის არც ერთ მცველს (ჩივაძის გარდა) საკუთარი საჯარიმოდან ბურთის გამოტანა არ შეუძლია. ერთია სხვისი შეტევის ჩაშლა, მეორე – საკუთარი იერიშის წამოწყება. აქ ჩვენს ფეხბურთელებს ხან გამბედაობა ღალატობთ, ხან ალღო, ხანაც ზუსტი პასის უნარი. ასე რომ, როცა ვამბობთ, გუნდი ხეირიანად ვერ უტევსო, ეს საყვედური ფორვარდებსაც ეხებათ, ნახევარმცველებსაც და მცველებსაც.

და ბოლოს, და კიდევ ერთხელ გუშინწინდელი მატჩის მსაჯებზე.

ნურავინ იფიქრებს, რომ ამით დინამოელთა გამართლებას ვაპირებდე, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, მით უფრო, რომ…

ერევნის "არარატისა" და კიევის "დინამოს" ამასწინანდელი შეხვედრის მსაჯობაზე (მაშინაც ანატოლი კადეტოვი იყო მთავარი მსაჯი) უკვე დაიწერა გაზეთ "სოვეტსკი სპორტში". ითქვა, რომ არბიტრი, ცოტა არ იყოს, ლმობიერად უყურებდა საფეხბურთო წესების დარღვევას. ჯარიმები, მართალია, ინიშნებოდა, მაგრამ ეს იყო და ეს.

იგივე სურათი შეძლო ეხილა მაყურებელს სარეცენზიო მატჩშიც. რამდენიმე წუთის განმავლობაში გუცაევი ზედიზედ სამჯერ წააქციეს (თითოეული მათგანის კლასიფიკაცია წინასწარ განზრახული უხეში თამაშია), კადეტოვი კი ისე იქცევა, თითქოს არ არსებობდეს წითელი ან ყვითელი ბარათი, თუნდაც სიტყვიერი შენიშვნა მაინც. ამას გარდა, ჩემი აზრით, თამაშგარე მდგომარეობაში იყო ოვანესიანი, როცა გოლი გაიტანა და ერთობ საეჭვო ვითარებაში დაინიშნა პენალტიც. და მაინც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ყველაფერი ძალზე ცოტას შველის ჩვენს საფეხბურთო პრობლემებს, რომლებსაც ჩვენვე თუ მივხედავთ.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 5 მაისი, 1984 წ.